ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N8

ქ.თბილისი

16 მარტი, 2022 წელი
11^{00}საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები:

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე - ლევან არველაძე;

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე - ნინო ვარდოსანიძე;

გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე - ნიკოლოზ კახეთელიძე;

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე - კახაბერ ლაბუჩიძე;

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - შალვა ოგბაიძე;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ჟორჟოლიანი;

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე - რევაზ სოხაძე;

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - გიორგი ჩაკვეტაძე;

საკრებულოს ბიუროს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში, მივლინებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 20 მარტიდან 24 მარტის ჩათვლით მიემგზავრება საფრანგეთში, ქ.სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 42-ე სესიაზე დასასწრებად. მასთან ერთად, ქ.სტრასბურგში მიემგზავრებიან საკრებულოს წევრები ოთარ გრიგოლია და ლევან ჟორჟოლიანი.

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, 2022 წლის 20 მარტიდან 24 მარტის ჩათვლით, მივლინებული იქნას საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში და მასვე დაევალოს, მივლინებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხებისა და ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ბრძანების გამოცემა.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე